პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 8 (6569)

12 იანვარი, შაბათი. 1980 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ვისწავლოთ მოწინავეთა გამოცდილებიდან

## სტარტზე ყველა გამოდის




**მშდ საკავშირო კომპლექსის დანერგვის საქმეში მიღწეული წარმატებებისთვის, სპორტმასობრივი ღონისძიებების სანიმუშოდ დანერგვისთვის, კარგი სპორტული ბაზის შექმნისთვის ფრუნზეს სამშენებლო ტექნიკუმის სპორტკლუბ „მშენებელს“ მიეკუთვნა „მშდ-ს საპატიო ნიშანი“.**

ფრუნზეში დამთავრებული ყირგიზეთის საშუალო-სპეციალური სასწავლებლების სპარტაკიადაზე უძლიერესის რეპუტაცია კვლავ დაამტკიცეს ყირგიზეთის დედაქალაქის სამშენებლო ტექნიკუმის სპორტსმენებმა. სპარტაკიადის ათი სახეობიდან მომავალმა მშენებლებმა ცხრაში გამარჯვება იზეიმეს და მხოლოდ ერთხელ იყვნენ მეორენი.

მოსწავლეთა სპორტული წარმატებანი შემთხვევითი როდია. აქ ფიზკულტურას ისეთივე გულისხმიერებით ეკიდებიან, როგორც მათემატიკას, ფიზიკას, ხაზვას, მშენებლობის ტექნოლოგიას, სხვა საგნებს.

— ყოველ მოსწავლეს აქვს ე. წ. ფიზკულტურელის ბარათი. სწავლების პირველი დღიდან ტექნიკუმის დამთავრებამდე ამ ბარათში აღინუსხება მონაცემები სტუდენტის ფიზიკური განვითარების, მის მიერ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების, სპორტული წარმატებების შესახებ, — გვიამბობს ტექნიკუმის ფიზაღზრდის ხელმძღვანელი ლ. სვირიდოვი. — გოგონები და ჭაბუკები ფიზკულტურის პირველივე გაკვეთილიდან ებმებიან მშდ კომპლექსის მომზადებასა და ჩაბარებაში.

როგორც წესი, პირველი სასწავლო წელი ეთმობა მომავალი მშენებლების საერთო ფიზმომზადებას. II და III კურსებზე კომპლექსის ნორმებს აბარებს სტუდენტთა დიდი უმრავლესობა. ახლა მშდ ნიშნოსანია მოსწავლეთა მთელი კონტინგენტის 84 პროცენტი. ზოგვერ ჯგუფში ეს ციფრი 90 და, ასე გასინჯეთ, 100 პროცენტს აღწევს.

— მშდ მრავალჭიდში შეჯიბრებები ჩვენთან ნამდვილ ჯანმრთელობის დღესასწაულად გადაიქცევა ხოლმე, — აგრძელებს სვირიდოვი, — ამ დღეებში ეწყობა, აგრეთვე, სპორტული კედლის გაზეთების კონკურსი, გამოდის სპორტული რადიოგაზეთის სპეციალური ნომერი, ბრძოლების მსვლელობა ნათლად აისახება „მშდ ნორმების ჩაბარების ეკრანზე“. გვყავს საკუთარი ლიდერები, რომლებსაც ტექნიკუმის ფიზკულტურელები თანდათან უთანაბრდებიან. წლეულს მაგალითად, მშდ მრავალჭიდში სპორტის ოსტატობის კანდიდატები გახდნენ ი. ბორისოვა და ა. პოდდუბნი. პოდდუბნი ამავე დროს სპორტის ოსტატობის კანდიდატია საზღვაო მრავალჭიდში. იგი რესპუბლიკის ნაკრებში ირიცხება.

მშდ კომპლექსი ტექნიკუმელებისთვის დიდ სპორტში მეცადინეობის მორიგი საფეხურია. ამისათვის ახალგაზრდებს არჩევის დიდი შესაძლებლობა აქვთ: „მშენებელში“ სექციები 13 სახეობაში მუშაობს. განსაკუთრებით პოპულარულია კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა, ცურვა და ჭიდაობა. ყოველი მესამე მოსწავლე თანრიგოსანია. მარტო წლეულს 33-მა შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ან პირველი თანრიგის ნორმატივი. ერევანში გამართულ გაზეთ „პრავდის“ საკავშირო კროსის ფინალში მესამეკურსელმა ვ. ბორისოვმა 5 კილომეტრზე IV ადგილი დაიკავა და სპორტის ოსტატი გახდა.

„მშენებლის“ დაარსებიდან გასული ათი წლის მანძილზე მისი სპორტული ბაზა საგრძნობლად გაფართოვდა. სპორტნაგებობათა შექმნაში აქტიურად მონაწილეობენ თვით სტუდენტები: მათ საკუთარი ძალებით დააპროექტეს და ააგეს მინი-სტადიონი 250-მეტრიანი სარბენი ბილიკებით, სახტომი და ბირთვის კვრის სექტორებით, ფრენბურთის მოედანი. მოსწავლეებმა კეთილმოაწყვეს სასროლეთი, საერთო საცხოვრებელში — შტანგის, ჭიდაობისა და მაგიდის ჩოგბურთის დარბაზები.

ა. ბარშაი,
საკდესის კორესპონდენტი.

● კლასიკური ჭიდაობა

## ექვსნი ნაკრებში

**კიევში** გაიმართა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. წარმატებით იასპარეზეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ფალავნებმა, რომლებმაც გუნდური II ადგილი დაიკავეს. უძლიერესი იყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მყოფი საბჭოთა ჯარების ჯგუფის ნაკრები. მესამე ადგილზე მოსკოვის სამხედრო ოლქის სპორტსმენები გავიდნენ. პირად პირველობაში თავი ისახელა ა. მაცაბერიძემ (57 კგ). მან ფინალში ევროპის ჩემპიონი ვ. პოგუდინი დაამარცხა და I ადგილი დაიკავა. 100 კგ წონის მოჭიდავეთა შორის ჩემპიონი გახდა ნ. ბაბიაშვილი, ხოლო ი. ბერიშვილს (62 კგ) ვერცხლის მედალი გადაეცა.

შეჯიბრების შედეგების მიხედვით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 6 მოჭიდავე — ი. ჯულელი, ა. აფრიმაშვილი, თ. წიწილაშვილი, მ. ლეჟავა, ა. მაისურაძე და ვ. წიკლაური საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ნაკრებში შეიყვანეს. ეს სპორტსმენები სხვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის საუწყებო პირველობაში, რომელიც თებერვლის დასაწყისში მოსკოვში გაიმართება.

ნ. ბერიევა.

● ველოსპორტი

## ამჯერად ე. გელაშვილი და კ. ხრაბცოვი

**მოსკოვის** ოლიმპიურ დახურულ ტრეკზე გრძელდება ზამთრის საკავშირო შეჯიბრების სერიები. მონაწილენი გიტში, სპრინტსა და სხვადასხვა ჯგუფურ რბოლაში ექვსდღიან ბრძოლაში არკვევენ ურთიერთობას.

ტურნირი 1000 მეტრზე ადგილიდან წყვილთა რბოლით გაიხსნა, მერე ჩატარდა 100 წრეზე (20 საშუალედო ფინიშით) ჯგუფური ნახევარფინალური შეჯიბრებები.

წყვილთა გიტში ერთ-ერთი ფავორიტი — ე. რაპისა და ს. კოპილოვის დუეტი სტარტზე შეფერხდა და საბოლოოდ 1.08,851 აჩვენა. დანარჩენი ლიდერები უფრო ფხიზლად იყვნენ. მართალია, გ. დვალიშვილისა და გ. ლაპინშის ტანდემმა ცუდად დაიწყო, მაგრამ მონაკვეთის მეორე ნახევარი გაცილებით უკეთესად გაიარა და ხელთ იგდო ლიდერობა — 1.07,151.

მალე მათი მაჩვენებელი ს. ჟურავლიოვ—ა. პანფილოვის წყვილმა გააუმჯობესა — 1.06,848.

მაგრამ ახალგაზრდა თბილისელმა ე. გელაშვილმა გამოცდილ კ. ხრაბცოვთან ერთად უკეთესი დრო 1.06,779 აჩვენა და I ადგილი მოიპოვა.

შემდეგში დვალიშვილისა და ლაპინშის შედეგი პროფკავშირების ნაკრების წევრებმა ლ. სიდოროვმა და ვ. კუზმინმა გააუმჯობესეს და III ადგილიც მათ დარჩათ.

100 წრეზე პირველ ნახევარფინალში რკინიგზელმა ა. კულიკოვმა 37 ქულით იმარჯვა. მეორე ნახევარფინალში უძლიერესი იყო დინამოელი ვ. ერლიხი. ისეთი გამოჩენილი ოსტატები, როგორიც რკინიგზელი ვ. მანაკოვი და ქვეყნის ნაკრების წევრი ვ. პეტრაკოვია, ნახევარფინალებში III ადგილებს დასჯერდნენ. მათ შესაბამისად არმიელმა ი. რახიმოვმა და რკინიგზელმა ნ. კუზნეცოვმა აჯობეს.

● ჭადრაკი

## მესხი ლიდერებში

**დუშანბეში** მიმდინარეობს სსრ კავშირის ჩემპიონატები გოგონებსა და ჭაბუკებს შორის.

5 ტურის შემდეგ გოგონათა ტურნირში [illegible] კოვა (ლენინგრადი) — 5 ქულა, მესხი (ქუთაისი), ბერეზინა (უკრაინა) — 4-4, ალშიევა (ბაქო) — 3,5, ქასოშვილი (გორი) — 3. აბზიანიძეს (ქუთაისი) 2 ქულა აქვს, შულერიძეს (თბილისი) — 1,5.

ჭაბუკთა ტურნირში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან ჩაჩიბაიას (თბილისი) 2,5 ქულა აქვს. ლიდერობენ კორზუბოვი (მოსკოვი) — 4,5 და ელვესტი (ტალინი) — 3,5. ზუგდიდელმა თორიამ 2 ქულა მოაგროვა, თბილისელმა კუზმინმა — 1,5.

სათამაშოა კიდევ 8 ტური.

● ხელბურთი

## „ბალტიკის თასზე“

**ბონი.** ოლიმპიურმა ჩემპიონმა — სსრ კავშირის ხელბურთელთა ნაკრებმა, ბრემერხაფენში მესამე გამარჯვება მოიპოვა ქვეჯგუფში და გავიდა „ბალტიკის თასის“ გათამაშების ფინალში. ანგარიშით 23:17 (10:10) მან დაამარცხა დანიის ნაკრები.

ფინალში საბჭოთა გუნდი შეხვდება გდრ-ის ნაკრებს, რომელმაც ფრედ (15:15) ითამაშა მსოფლიო ჩემპიონებთან — გფრ-ის ხელბურთელებთან და ბურთების უკეთესი შეფარდებით I ადგილი დაიკავა თავის ქვეჯგუფში. (საკდესი).

# ქრონიკა

● წყალბურთი

## ძლიერი გუნდებით...

**ლენინური** კომკავშირის სახელობის მოსკოვის ავტოქარხნის საცურაო აუზში დამთავრდა წყალბურთელთა ტრადიციული საკავშირო ტურნირი, რომელიც სპორტის დამსახურებული ოსტატის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ნ. მალინის ხსოვნას მიეძღვნა.

შეჯიბრებამ ძალზე ძლიერ გუნდებს მოუყარა თავი — უმაღლესი ლიგის 12 კოლექტივიდან 9 გუნდი ჩაება გამარჯვებისთვის ბრძოლაში. მათ შორის იყო, აგრეთვე, პირველი ლიგის წარმომადგენელი მოსკოვის „ტორპედო“.

აღსანიშნავია, რომ ასპარეზობის მონაწილე გუნდები, შემადგენლობაში არ იყვნენ სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატები, რომლებიც იტალიისა და უნგრეთის წყალბურთელებთან მატჩებისთვის ემზადებიან.

ტურნირში საუკეთესო იყო კიევის „დინამო“ (12 ქულა), რომელმაც ასეთ ასპარეზობაში პირველად მიაღწია წარმატებას. მეორე ადგილი დაიკავა ალმა-ათის „დინამომ“ (10), მესამე — სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალურმა სპორტკლუბმა (9).

დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: „მოსკვიჩი“, „დინამო“ (მოსკოვი), კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო), „დინამო“ (თბილისი), „დინამო“ (ლვოვი), „მეხნატი“ (ტაშკენტი), „ტორპედო“ (მოსკოვი).

## სატურნირო „ექვატორთან“

**ჩერკასი.** უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებმა ექვსიდან სამი ტური ითამაშეს და ზუსტად ნახევარი გზა განვლეს. დაუმარცხებლად გამოდის საკავშირო პირველობის თერთმეტგზის გამარჯვებული, კიევის „სპარტაკი“. დასკვნითს მატჩშიც, რომელიც სპარტაკელთა ლაიპციგში გამგზავრების გამო თამაშებისგან თავისუფალ დღეს გაიმართა, კიეველებმა ადვილად სძლიეს ვილნიუსის „ეგლეს“ — 26:9 (16:5).

— მომდევნო, მეოთხე ტური გაიმართება 16-22 თებერვალს კალინინგრადში, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა სსრ კავშირის ნაკრებისა და კიევის „სპარტაკის“ უფროსმა მწვრთნელმა ი. ტურჩინმა. — ეს მატჩები განსაზღვრავენ 6 კლუბს, რომლებიც გაითამაშებენ ჩემპიონატის ჯილდოებს.

სამი ტურის შემდეგ (16 მატჩი) სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება: „სპარტაკი“ (კიევი) — 32 ქულა, „როსტსელმაში“ (როსტოვი) — 28, „ჟალგირისი“ (კაუნასი) — 20, „ავტომობილისტი“ (კიევი) — 19, „ავტომობილისტი“ (ბაქო) — 17, უპი (სვერდლოვსკი) და ზიი (ზაპოროჟიე)— 16-16, „მეტალურგი (ბროვარი)— 11, „ეგლე“ (ვილნიუსი) — 10, „კოლოსი“ (ბერეგოვო) და „სელხოზტეხნიკა“ (კრასნოდარი) — 8-8, „ლუჩი“ (მოსკოვი) — 7 ქულა. (საკდესი).

# დინამოელები ლესელიძეში

**ფეხბურთის** გულშემატკივრებს ჯერ კიდევ არ დავიწყებიათ გასული სეზონის პერიპეტიები, როცა რესპუბლიკის I გუნდმა საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში ვერცხლის მედლები მოიგო, როცა საბჭოთა კავშირის თასს დაეუფლა, როცა რიგი საერთაშორისო შეხვედრები უმაღლეს დონეზე ჩაატარა, და უკვე ახალ სეზონზე ფიქრობენ. ჩვენი სახელოვანი კოლექტივი ამას წინათ შეუდგა მომავალი საკავშირო ჩემპიონატისა და საერთაშორისო შეხვედრებისთვის მზადებას. ფეხბურთელები ამჟამად ლესელიძეში ვარჯიშობენ.

* * *





სურათებზე: მწვრთნელი გ. ნოდია და მეკარე დ. გოგია ვარჯიშის დროს; მ. მაჩაიძე (ბურთით) და თ. სულაქველიძე მორიგ წვრთნაზე.

გ. კიკვაძის ფოტოები. (საქინფორმი).

# მიღწეულით არ დავკმაყოფილდებით

გასული წელი ერთობ დაძაბული და საინტერესო იყო „სპარტაკის“ ორგანიზაციებისთვის. სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადების გადამწყვეტ ეტაპზე უნდა მოგვეხდინა ძალების მობილიზება იმ ნაკლოვანებების საბოლოოდ გამოსწორებისთვის, რომლებიც ჩვენს საქმიანობაში წინა სპარტაკიადამ გამოავლინა.

ოთხი წლის უკან, საქართველოს VI სისპარტაკიადო ნაკრებში 37 სპარტაკელი შედიოდა. ფინალურ შეჯიბრებებში მათი საერთო ნადავლი ძლივს შეადგენდა 21,5 ქულას. ფაქტიურად, საშუალოდ თითო სპორტსმენმა რესპუბლიკას თითო ქულაც ვერ მოუპოვა. ცხადია, მდგომარეობა საგანგაშო იყო და გადამჭრელი ღონისძიების გატარებას მოითხოვდა.

ახლა, როცა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა ისტორიის საკუთრება გახდა და მისი ფინალური შეჯიბრებების შედეგები მთლიანად გავაანალიზეთ, გაცილებით უკეთესი სურათი მივიღეთ — 35 სპარტაკელმა საქართველოს სპორტულ დელეგაციას 157,8 ქულა შესძინა. მაშასადამე, უკანასკნელ ოთხ წელიწადში წინსვლა საგრძნობია, მაგრამ ანალიზმა, ჩვენი საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ამასწინდელმა პლენუმმა, რომელიც საკავშირო სპარტაკიადაში სპარტაკელთა მონაწილეობის შედეგებსა და იდეოლოგიური, პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს მიეძღვნა, დაგვარწმუნა, რომ ჩვენი რეზერვები მთლიანად ვერ ავგიამოქმედებია.

ადრინდელი ნაკლოვანებების დაძლევა პოლიტ-აღმზრდელობითი და ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის შემდგომი გაძლიერებით დავიწყეთ. რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებში, ფიზკულტურის კოლექტივებში, ნაკრებ გუნდებში მთავარ ყურადღებას ვაქცევდით სპორტული მიღწევების ამაღლებისთვის საჭირო პროპაგანდას. საგრძნობლად გაუმჯობესდა იდეოლოგიური და პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის დონე, გახშირდა მასობრივ შეჯიბრებათა რაოდენობა.

მარტო ბოლო სპარტაკიადის პროგრამით მასობრივი შეჯიბრებები საქართველოს „სპარტაკის“ 1323 კოლექტივში ჩატარდა. ამ ღონისძიებებში 166 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა. თითქმის 34 ათასმა მშდ კომპლექსის, ხოლო 35 ათასზე მეტმა მასობრივი თანრიგის ნორმატივები შეასრულა. 24 ახალი ფიზკულტურული კოლექტივი შევქმენით. 2500-ზე მეტი ფიზკულტურელით გაიზარდა ჩვენი რიგები, ეს ყველაფერი საგრძნობლად აჭარბებს ადრინდელ მაჩვენებლებს.

ამ საქმეში განსაკუთრებით კარგად იმუშავეს აფხაზეთისა და აჭარის, ქუთაისის, მახარაძის, თელავის საბჭოებმა, კვების მრეწველობის, მედიცინის, სახელმწიფო დაწესებულებების, სახელმწიფო ვაჭრობისა და კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირების დარგობრივმა კომიტეტებმა.

როცა საკავშირო სპარტაკიადის ცხარე დღეებში ყოველდღიურ შედეგებს ვაჯამებდით, გვიხაროდა, რომ სპარტაკელებმა ოთხი წლის წინანდელი მაჩვენებლები საგრძნობლად გააუმჯობესეს. მაგრამ ახლა, როცა ყველა გამოუყენებელი შანსი ღრმად შევისწავლეთ, ერთგვარი უკმარობის გრძნობა გვეუფლება. აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში და, განსაკუთრებით, ცხენოსნობაში შედეგები ამაღლდა — სპარტაკიადაში ამ სახეობების წარმომადგენლებმა 120 ქულაზე მეტი მოიპოვეს. შესაძლებლობაზე დაბალი შედეგები გვქონდა ძიუდოსა და თავისუფალ ჭიდაობაში. მოფარიკავეებმა წინა სპარტაკიადის მაჩვენებელი თითქმის 5 ქულით გააუარესეს. ველოსიპედისტებმა ამჯერადაც ვერაფრით გამოიჩინეს თავი. სულ სპარტაკელები სპორტის 9 სახეობაში გამოდიოდნენ რესპუბლიკის ნაკრებში, სპარტაკიადის პროგრამაში კი თითქმის 4-ჯერ მეტი სახეობა იყო.

სამბოში, კლასიკურ ჭიდაობაში, ცურვაში, ძალოსნობაში, მშვილდოსნობაში, წყალში ხტომაში ნაკრებში თითო წარმომადგენელიც არ გვყავდა.

თუ საბჭოების მუშაობას ამავე საზომით მივუდგებით, დავრწმუნდებით, რომ თბილისელმა სპორტსმენებმა საზოგადოებას 106,45 ქულა მოუტანეს, უფრო მეტი, ვიდრე აფხაზეთის, ქარელის, ქუთაისის, აჭარის, რუსთავის, მახარაძის და მცხეთისამ ერთად აღებულმა (51,6).

ჯერ კიდევ არსებული ჩამორჩენის მიზეზია ის, რომ საქალაქო და რაიონული საბჭოების დიდი ნაწილი ცუდად მუშაობს. წლების განმავლობაში რესპუბლიკური საბჭოს პირველობებში არ გამოდიოდნენ გორის, ჭიათურის, ხაშურის და სხვათა გუნდები და ცალკეული სპორტსმენები. სპორტული ბაზების თვალსაზრისით, პირდაპირ გამოუვალ მდგომარეობაში ვართ — რესპუბლიკურ საბჭოს არავითარი ნაგებობა არ გააჩნია. ბათუმის, სოხუმისა და ქუთაისის ნაწილობრივ უვარგისი სპორტული ნაგებობანი მოთხოვნათა მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს, ამიტომაც გამაჯანსაღებელ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობისთვის განკუთვნილი სახსრების უდიდესი ნაწილი ბაზების ქირაში მიდის.

ჩვენი ამ მდგომარეობის ერთგვარი შემსუბუქების მიზნით, საქართველოს პროფსაბჭოს ზრუნვით ცხვარიჭამიაში საზაფხულო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის აგება დაიწყო, მაგრამ არავინ იცის იგი მთლიანად როდის შევა ექსპლოატაციაში. თანაც ბანაკს არ ექნება სპორტდარბაზი (?!), უმისოდ კი ბანაკი თავის როლს ვერ შეასრულებს.

„სპარტაკის“ სპორტსმენების ნადავლი ხალხთა სპარტაკიადაში უდაოდ მეტი იქნებოდა, რომ პერიფერიებში ჩვენი ორგანიზაციების მუშაობაში არ არსებობდეს ისეთი სერიოზული ნაკლი, როგორიც საშტატო ერთეულების უკმარობაა — 42 რაიონული საბჭოს თავმჯდომარე საზოგადოებრივ საწყისებზე უძღვება საქმეს. ასეთი შრომა კი ძალიან მცირე პროდუქციას იძლევა.

დადგა ოლიმპიური წელი. ისე როგორც რესპუბლიკის ყველა ორგანიზაციას, „სპარტაკსაც“ გაორკეცებული ენერგიით მუშაობა მართებს, რომ გარკვეული წვლილი შეიტანოს საქართველოს ოლიმპიელთა წარმატებებში, შემდეგში III საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებსა და ქვეყნის VIII სპარტაკიადაში ახალი, უფრო მაღალი მიჯნების მოპოვებაში, რაც მთავარია, მშრომელთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი ისე მაღალ დონეზე დააყენოს, როგორც ამას ჩვენგან პარტია და მთავრობა მოითხოვენ.

რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი მუდამ იდეოლოგიური მუშაობის ლენინური პრინციპების ერთგული იყო. შეიძლება ითქვას, სწორედ ამან შეასრულა გადამწყვეტი როლი სპორტულ წარმატებათა ზრდაში, მაგრამ „იდეოლოგიური, პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ ახალი, მნიშვნელოვანი ღონისძიებანი დავსახეთ მისი ცხოვრებაში გატარებისთვის — გაუმჯობესდა ფიზკულტურელებთან, სპორტსმენებთან, გუნდებთან იდეურ-პოლიტიკური საქმიანობა, უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობთ მშრომელთა, სპორტსმენთა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პროპაგანდას, სრულყოფილი გახდა ლექცია-სემინარების ხარისხი, ქმედითია მწვრთნელებზე, მათს აღსაზრდელებზე იდეური ზემოქმედების ფორმები.

ჩვენს საქმიანობაში მუდამ ვგრძნობთ საქართველოს სპორტკომიტეტის, რესპუბლიკის პროფსაბჭოს, რიგი სამინისტროების ზრუნვას და მას გაორკეცებული შრომით ვუპასუხებთ. ვიცით, რომ თანამედროვე ფაბრიკა, ქარხანა, დაწესებულება, სასწავლებელი მხოლოდ ჩარხები და მერხები როდია, უწინარეს ყოვლისა ეს არის ადამიანები, რომლებიც ქმნიან პროდუქციას. ისინი ჯანმრთელნი, ფიზიკურად ძლიერნი უნდა იყვნენ. აი, აქ უნდა გამოიჩინონ თავი ჩვენმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

მეათე ხუთწლედის მეხუთე, დამამთავრებელ წელს და შემდეგშიც ჩვენი გარჯის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ ამოცანების გადაწყვეტას მოხმარდება.

თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი 1976 წლამდე ერთერთ ბოლო ადგილზე იყო. კოლექტივში ფიზკულტურის სწორმა პროპაგანდამ, იდეოლოგიური მუშაობის მართებულად წარმართვამ იგი არა მარტო რესპუბლიკის, არამედ კავშირის მასშტაბით მოწინავე კოლექტივად აქცია — ბოლო სამი წლის მანძილზე აქ ათობით სპორტის ოსტატი და 200-ზე მეტი ოსტატობის კანდიდატი მომზადდა. მშდ კომპლექსის ნიშნოსანია მოსწავლეთა 96 პროცენტი. ამ ტექნიკუმს თანდათან სხვა ორგანიზაციებიც ამოუდგებიან მხარში. მაგრამ ჯერ კიდევ გვაქვს უბნები, სადაც სპორტის პროპაგანდის დაბალი დონის გამო მუშაობა ჩამორჩება. ეს ითქმის გეოლოგთა პროფკავშირის კოლექტივებზე, სამუსიკო სასწავლებლებზე, რიგ საწარმოებზე. საქმეს ისიც აფერხებს, რომ ჩვენი საზოგადოებრივი კომისიების ნაწილი ინერტულობს. მშდ კომისიამ შარშან მხოლოდ ორი სხდომა ჩაატარა, ფეხბურთისამ — სამი, სატრაბახო არაფერი აქვს ვეტერანთა საბჭოს.

ეს ყველაფერი იმის შედეგია, რომ ბევრი ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს, დარგობრივი ბიუროს, სექციის, რაიონულ და საქალაქო საბჭოს გეგმებში არ არის კომუნისტური აღზრდის, აგიტაცია-პროპაგანდის, იდეოლოგიური მუშაობის ამაღლების საკითხები. ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მუშაობა, პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი წრთობა არის ის იარაღი, რომელიც შემდგომ წარმატებათა მოპოვებაში უნდა დაგვეხმაროს.

**ა. კორინთელი,**
**„სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.**

## სპორტდარბაზიც რომ ჰქონდეთ...

**სამტრედიის** რაიონის დაბა კულაშის პროფტექნიკურ სასწავლებელში (დირექტორი ს. ჩხაიძე) სათანადო ყურადღება ექცევა ფიზკულტურასა და სპორტს. ეს სასწავლებელი არც თუ ისე დიდი ხანია რაც შეიქმნა, მაგრამ მიუხედავად ამისა აქაურმა ფიზკულტურელებმა გარკვეული წარმატებები მოიპოვეს, რაშიც უდაოდ დიდი წვლილი მიუძღვის ფიზაღზრდის უნარიან ხელმძღვანელს თ. გოგიბერიძეს.

სასწავლებლის ფიზკულტურის კოლექტივის 180-ზე მეტი აღსაზრდელი „შრომითი რეზერვების“ წევრია. კოლექტივში შექმნილია სპორტის 7 სახეობის სექცია, რომლებშიც 80-ზე მეტი მოზარდია გაერთიანებული. მათ განკარგულებაშია ადგილობრივი ძალებით მოწყობილი კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები, სიგრძეზე და სიმაღლეზე სახტომი, ბირთვის, ბადროსა და ხელყუმბარის სატყორცნი სექტორები, სარბენი ბილიკები. მოწყობილია ჭადრაკის, შაშის, მაგიდის ჩოგბურთის კუთხე. სპორტული მოედნები გაფორმებულია პლაკატებითა და ლოზუნგებით. სასწავლებელში სათანადო ყურადღება ექცევა თანრიგოსნების, საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მსაჯების მომზადების საქმეს. სასწავლებლის სპორტულ მოედნებზე წაიკითხავთ მოწოდებას — „არც ერთი მოსწავლე — მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნის გარეშე!“

მეცადინეობის დაწყებამდე ტარდება დილის გამამხნევებელი ვარჯიში, რომელშიც ძირითადად ყველა მოსწავლეა ჩაბმული.

ამასწინათ აქ დამთავრდა შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში სპორტის 5 სახეობა იყო. ყველა სახეობაში I ადგილები მოიპოვეს მე-12 ჯგუფის მოსწავლეებმა. აქაური მოსწავლეები ხშირად აწყობენ ამხანაგურ შეხვედრებს მეზობელ ფიზკულტურულ კოლექტივებთან.

სამწუხაროდ, ყოველივე ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლებელში რამდენიმე წელია სპორტული დარბაზის მშენებლობა მიმდინარეობს. მშენებლობა იმდენად გაჭიანურდა, რომ რაც უკვე გაკეთებულია, ისიც ინგრევა.

ბუნებრივია, ყოველივე ეს მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას და მათ სპორტულ დაოსტატებას აფერხებს.

**ი. ნიკოლეიშვილი.**
**(ჩვენი კორ.).**
სამტრედია.

**ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში**

## ბიტცა „მიიჩქარის“ ოლიმპიადაზე

**მოსკოვში,** ბიტცაში (სევასტოპოლის რაიონი) მწყობრში ჩადგა ოლიმპიადა-80-ისათვის მშენებარე პროფკავშირების საცხენოსნო-სპორტული კომპლექსის პირველი ნაგებობები. სახელმწიფო კომისიამ საექსპლუატაციოდ მიიღო სასტუმრო, საჯინიბო და სამეურნეო ბლოკი ვეტერინარული საავადმყოფოთი.

სასტუმრო კომპლექსში, რომლის საცხოვრებელი ნაწილი 150 კაცს მიიღებს, ოლიმპიური თამაშების დღეებში დაბინავდება მომსახურე პერსონალი, რომელიც საბჭოთა დედაქალაქში ცხენოსანთა გუნდებთან ერთად ჩამოვა. ესენი არიან — ვეტექიმები, მეჯინიბეები, მჭედლები.

სასტუმრო კომპლექსში არის, აგრეთვე, 100-ადგილიანი კაფე-სასადილო, სპორტული დარბაზი, აუზი და ტირი.

საჯინიბოები მოხერხებული და ნათელია. ზამთრისა — 250, ხოლო ზაფხულისა 200 ცხენს დაიტევს. საჯინიბოში არის საშხაპეები და ალკაზმულობისათვის, საკვებისათვის აუცილებელი ყველა შენობა.

გამალებით მიმდინარეობს ბიტცას საცხენოსნო-სპორტული კომპლექსის სხვა ნაგებობათა მშენებლობა.

კომპლექსის საერთო ფართობი 40 ჰექტარს შეადგენს. ამ ბაზის სიამაყე იქნება 1650 მეტრი სიგრძის გაზონის სტიპლჩეზის წრე და სტადიონი წინაღობათა გადალახვისათვის 150X90 მეტრი ფართობის მინდვრით, 12000-ადგილიანი ტრიბუნები, დიდი საინფორმაციო ტაბლო.

კომპლექსში შედის, აგრეთვე, ღია და დახურული მანეჟი, მრავალრიცხოვანი სხვადასხვა სავარჯიშო მოედანი.

კომპლექსის ტერიტორიაზე რგავენ ხეებს, ბუჩქებსა და ყვავილებს. ყველა ნაგებობა ერთმანეთთან დაკავშირებული იქნება ბილიკებით, გადასასვლელებით.

სამჭიდელთა საველე გამოცდის ტრასა გავა აქვე, ბიტცას პარკის ტერიტორიაზე. ერთი სიტყვით, ეს ბაზა ჭეშმარიტად უნიკალური იქნება. (საკდეს).



შორეულ აღმოსავლეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს ამურის კომსომოლსკის სპორტკლუბი „სმენა“. აქ განსაკუთრებით პოპულარულია ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა.

სურათზე: სპორტკლუბ „სმენას“ ნაოჩბოსნე აუზში.

საკდესის ფოტო.



**სსრ კავშირის 47-ე ჩემპიონატი**

# ბოლო მატჩის წინ

რიგა. „დაუგავას“ სპორტული დარბაზი. 9 იანვარი.

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 80:84 (37:39).

„დინამო“: ბახტურიძე, ბიჭიაშვილი, ჩიხლაძე (14), ნ. ქორქია (10), დერიუგინი (21), მ. ქორქია (27), მილოვიდოვი (4), პულავსკი (4).

„სპარტაკი“: აველიანოვი, პავლოვი (11), ხარჩენკოვი (18), კუზნეცოვი (8), სილანტიევი, კაპუსტინი (22), მახლინი (3), ტიუბინი (22).

მსაჯები: ვ. სუურკასკი (ტალინი), ი. გოლინსკი (სევერო-დვინსკი).

მატჩის დაწყებამდე თბილისელები რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ. გადასაწყვეტი იყო, თუ ვინ „დაიჭერდა“ „სპარტაკის“ ყველაზე სწრაფ და შედეგიან მცველს კაპუსტინს. სხვა დროს ამისათვის გუნდში არსებობს გრძელიძე, მაგრამ მან ფეხი დაიზიანა და რამდენიმე დღით გამოაკლდა გუნდს. არჩევანი დებიუტანტ ბახტურიძეზე შეჩერდა, რომელსაც უკვე ჰქონდა ამ ტურში კიევის ასკ-ს წინააღმდეგ თამაშის გამოცდილება. მატჩის დასაწყისი, თუ ანგარიშს მივიღებთ მხედველობაში, ნორმალურად მიმდინარეობს, მაგრამ იგრძნობა, რომ კაპუსტინის ნეიტრალიზება ვერ მოხერხდა. მან 7-წუთიან მონაკვეთში 5 ზუსტი ტყორცნა განახორციელა. დინამოელთა რიგებში განსაკუთრებით მიხეილ ქორქია—დერიუგინის რგოლი აქტიურობს. მათ გუნდს პირველ ტაიმში შესაბამისად 14 და 11 ქულა შესძინეს. ტაიმს მაინც „სპარტაკი“ იგებს — 39:37. თამაშის პირველ ნახევარში მეტოქეებმა უმთავრესად პრესინგი გამოიყენეს, თუმცა საბოლოო ჯამში გუნდების მიერ მიღებული მხოლოდ 5-5 პერსონალური შენიშვნა იმაზე მიგვითითებს, რომ ეს პრესინგი საკმაოდ პასიური იყო, რაც ხელს აძლევდა „სპარტაკს“, რადგან მისი უკანა ხაზი უფრო აგრესიულად და ზუსტად თამაშობდა.

მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა. მართალია, მატჩის დასასრულს დინამოელმა მცველებმა ნ. ქორქიამ და ჩიხლაძემ ზუსტი სროლებით საკმაოდ ბევრი უსიამოვნება მიაყენეს სპარტაკელებს, მაგრამ ამ მატჩის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

რიგა. „დაუგავას“ სპორტული დარბაზი. 10 იანვარი.

„დინამო“ (თბილისი) — ცსკა 74:114 (40:55).

„დინამო“: სინჯარაძე (6), ბოროდაჩევი (2), ბახტურიძე (2), ბიჭიაშვილი (10), ჩიხლაძე, ნ. ქორქია (12), დერიუგინი (12), ჯორჯიკია (12), მ. ქორქია, მილოვიდოვი (18).

ცსკა: ერიომინი (9), მილოსერდოვი (8), ჟარმუხამედოვი (14), ედეშკო (9), მიშკინი (10), კრასავცევი (9), ს. კოვალენკო (12), ბელოსტენი (14), ტარაკანოვი (23), კუზმინი (4), პონკრაშკინი.

მსაჯები: პ. ბუივიდასი (კლაიპედა), მ. გაბაჩიევი (ყურგან-ტიუბე).

ტურის მეხუთე მატჩი „დინამომ“ მოსკოველ არმიელებთან ჩაატარა. მეორე დღეს თბილისელებს მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა ელოდა ტალინის „კალევთან“, გუნდთან, რომლის დამარცხება თეორიულად და პრაქტიკულადაც შესაძლებელია, ამიტომ სავსებით სწორი გადაწყვეტილება მიიღეს „დინამოს“ მწვრთნელებმა, როდესაც ფაქტიურად სსრ კავშირის ნაკრების წინააღმდეგ გამოსცადეს ყველა ახალგაზრდა კალათბურთელი. წინა შეხვედრაში სასტარტო ხუთეულში პირველად ვიხილეთ დებიუტანტი ბახტურიძე, ამჯერად კი ლევან მოსეშვილმა მოედანზე პირველი წუთებიდანვე გამოიყვანა ჯორჯიკია. იყო მომენტი, როცა ედეშკო—მილოსერდოვი — მიშკინი — ტარაკანოვი—ბელოსტენის წინააღმდეგ თამაშობდნენ ბახტურიძე — ჯორჯიკია — მილოვიდოვი — ბოროდაჩევი და სინჯარაძე.

მატჩი არმიელებმა 40 ქულის სხვაობით მოიგეს. სამაგიეროდ, ყველა ახალგაზრდა დინამოელისათვის, რომლებმაც ჩემპიონატის კალენდარულ შეხვედრაში პირველად ითამაშეს ერთად, ეს გამოცდილების დიდი სკოლა იყო.

**ჯ. ჯახუტაშვილი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

* * *

**სხვა მატჩები**

ასე დამთავრდა: ცსკა—ვეფ-ი (რიგა) 117:94, ასკ (კიევი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 112:82, „კალევი“ (ტალინი) — რტი (მინსკი) 85:84, „სტროიტელი“ (კიევი) — „ლოკომოტივი“ (ნოვოსიბირსკი) 80:89, „ჟალგირისი“ (კაუნასი)— „დინამო“ (მოსკოვი) 102:89, „სპარტაკი“ — „ჟალგირისი“ 86:88, „დინამო“ (მოსკოვი) — ვეფ-ი 111:95, „კალევი“ — „სტროიტელი“ 91:93, რტი — ასკ 86:87, „სტატიბა“ — „ლოკომოტივი“ 123:82.

* * *

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 11 იანვრისთვის

| | მ | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 10 | 0 | 1047—768 | 20 |
| „დინ.“ მოსკ. | 7 | 3 | 1052—959 | 17 |
| ასკ კიევი | 7 | 3 | 1006—956 | 17 |
| „ჟალგირისი“ | 7 | 3 | 907—889 | 17 |
| „დინ.“ თბ. | 6 | 4 | 862—897 | 16 |
| „სპარტაკი“ | 5 | 5 | 846—814 | 15 |
| „სტატიბა“ | 5 | 5 | 897—890 | 15 |
| ვეფ-ი | 3 | 7 | 921—963 | 13 |
| „სტროიტელი“ | 3 | 7 | 868—920 | 13 |
| რტი | 2 | 8 | 856—888 | 12 |
| „კალევი“ | 2 | 8 | 801—868 | 12 |
| „ლოკომოტივი“ | 2 | 8 | 834—1047 | 12 |

● კალათბურთი

# მეორე ტური — ვილნიუსში

**ლენინგრადსა** და **ყარაგანდაში** დამთავრდა კალათბურთელ ქალთა გუნდების უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის II წრის I ტური.

შეჯიბრებას დამაჯერებლად ლიდერობს რიგის ტტტ, რომელმაც ყველა თამაში მოიგო და 32 ქულა აქვს. II და III ადგილებზე არიან მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“ და ცსკა — 30-30 ქულა. შემდეგ მოდიან მოსკოვის „დინამო“ (26 ქულა), სვერდლოვსკის „ურალმაში“ (25), ლენინგრადის „სპარტაკი“ (24), ნოვოსიბირსკის „დინამო“ (23), ვილნიუსის „კიბირკშტისი“ (22), კიევის „დინამო“ (21), მოსკოვის „სპარტაკი“ (19), პენზის „სპარტაკი“ და ალმა-ათის „უნივერსიტეტი“ (18-18).

ჩემპიონატის მონაწილე ყველა გუნდი თავს მოიყრის ვილნიუსში, სადაც 14-20 იანვარს გაიმართება II წრის II ტურის მატჩები.

# სად იყვნენ სხვები?

**თბილისის** სპორტულ ბაზებზე გრძელდება მოსწავლეთა საქალაქო შეჯიბრებები. სპორტის რამდენიმე სახეობაში უკვე გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

**ძიუდოისტთა** ასპარეზობას ორჯონიკიძის რაიონის სპორტსკოლამ უმასპინძლა. პირველობისთვის იბრძოდა 7 სპორტსაზოგადოების 100-მდე ფალავანი. გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა განათლების სამმართველოს ნაკრებმა. შემდეგ საპრიზო ადგილებზე შესაბამისად „განთიადისა“ და „ლოკომოტივის“ კოლექტივები გავიდნენ. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს ლ. ბასილაშვილმა, ე. ჯანგირაშვილმა, გ. კოლოტაურმა, მ. ჯაჭვაძემ, ე. ჭკადუამ, ა. ხაჩიძემ, ა. ბუცხრიკიძემ.

**სამბისტთა** შეჯიბრებაში 50-მდე მოჭიდავე მონაწილეობდა. გუნდურ ჩათვლაში აქ უძლიერესი იყო „დინამოს“ ნაკრები. მეორე ადგილზე განთიადელები გავიდნენ, ხოლო მესამეზე — „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენლები. ცალკეულ წონებში პირველობა მოიპოვეს: ზ. პავლიაშვილმა, მ. ჭეხაშვილმა, გ. წიწილაშვილმა, გ. ზაქაიძემ, ვ. ოსიშვილმა, ო. იაძემ, ს. საათაშვილმა, ნ. ოდიშვილმა, ზ. ადუაშვილმა.

ზემოაღნიშნული ღონისძიებები უფრო საინტერესო იქნებოდა, რომ ყველა სპორტსაზოგადოებას გამოეყვანა თავისი მოჭიდავეები.

დამთავრდა, აგრეთვე, **ბადმინტონისტთა** ასპარეზობა, სადაც 14 გუნდი გამოდიოდა. ყველას 26 კომისრის რაიონის წარმომადგენლებმა აჯობეს. შემდეგ მოდიან საქარხნო და ორჯონიკიძის რაიონების გუნდები. ცალკეულ თანრიგებში გაიმარჯვეს ვ. სველდენკომ, ვ. ვართანიანმა, ა. ანისოიანმა.

**კალათბურთელთა** შეჯიბრება ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში ჩატარდა. ჭაბუკთა შორის დინამოელებმა გაიმარჯვეს, გოგონათა შორის უძლიერესი იყო თბილისის განათლების სამმართველოს ნაკრები.

**გ. თათეიშვილი,**
**ა. ჯანტურია.**



ელექტრონული ბიბლიოთეკა

ამერიკის ქალაქ ფიორტ-უერტის მსოფლიო ჩემპიონატში წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა. მსოფლიოს უძლიერეს ოსტატებთან ჭიდილში მათ სხვადასხვა ღირსების 17 მედალი მოიპოვეს. აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვებისათვის უმაღლესი ჯილდოები დაიმსახურეს მინსკელმა ნელი კიმმა და ლენინგრადელმა ა. დიტიატინმა. საბჭოთა ვაჟებმა გაიმარჯვეს გუნდურ შეჯიბრებაში, ქალებმა კი „ვერცხლი“ დაისაკუთრეს.

განსაკუთრებით ქების ღირსია ა. დიტიატინი, რომელმაც აბსოლუტური პირველობისა და გუნდური ოქროს მედლის გარდა უმაღლესი ჯილდოები მოიპოვა რგოლებზე და ბჯენით ხტომაში.

ს უ რ ა თ ზ ე: ნ. კიმი და ა. დიტიატინი.



## მოსწავლეთა არდადეგების დღეებში

დამთავრდა მოსწავლეთა ზამთრის არდადეგები. თბილისელი მოსწავლეებისთვის იგი საინტერესო სპორტული ღონისძიებებით იყო სავსე.

შეჯიბრებათა მიზანი იყო მოსწავლეებისთვის კიდევ ერთხელ მიეცათ ფიზიკური გაკაჟების საშუალება. ამავე მიზანს ემსახურებოდა მოცურავეთა ასპარეზობა „მხიარული დელფინი“, რომელიც „შრომითი რეზერვების“, „დინამოსა“ და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზამთრის საცურაო აუზებში გაიმართა. ამ შეჯიბრების უპირველესი მიზანი მასობრიობაც გახლავთ. მოსწავლეები მშდ კომპლექსის ნორმატივებსაც აბარებდნენ. საერთო ჯამში 1016 ბავშვი გამოვიდა სტარტზე. 25 მეტრზე ცურვაში ყურადღება მიიპყრეს ვ. მალიუტინმა (63-ე საშუალო სკოლა), დ. კაკიაშვილმა (57-ე საშუალო სკოლა), ა. დუანოვმა (162-ე საშუალო სკოლა), ტ. ჯავახაძემ (მე-16 საშუალო სკოლა).

როგორც ყოველთვის, საინტერესო იყო ტურნირი დევიზით — „დედა, მამა, მე — სპორტული ოჯახი“. დებულებით ოჯახის სამ წევრს 25 მეტრი უნდა გაეცურა, სამწუხაროდ, სტარტზე მხოლოდ 5 ოჯახი გამოვიდა, რაც შარშანდელთან შედარებით სამით ნაკლებია. მილიონიანი ქალაქისთვის, დაგვეთანხმებით, ეს ზღვაში წვეთია. ამასთან, ამ ოჯახების წევრთა უმეტესობა ფიზკულტურული მუშაკები იყვნენ. ამ ასპარეზობაში, ისე როგორც მის წინამორბედ შეჯიბრებებში, გამარჯვებისთვის ბრძოლა ძირითადად კაზაროვებისა (ლენინის რაიონი) და ნეკეფტიდების (კიროვის რაიონი) ოჯახებს შორის მიმდინარეობდა. გამარჯვება ამ უკანასკნელს ხვდა წილად. მეორე იყო კაზაროვების, ხოლო მესამე — ხანუკაშვილების (ორჯონიკიძის რაიონი) ოჯახი.

უნდა აღინიშნოს ასპარეზობის კარგი ორგანიზაცია, მაგრამ აქვე უნდა ითქვას ნაკლოვანებებიც. ახლა სკოლის ფიზკულტურის კოლექტივის კარგი მუშაობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი მშდ კომპლექსის განვითარებისათვის საქმიანობა ითვლება და, სამართლიანადაც. აქ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ცურვას უკავია. ზამთრის არდადეგების დღეებში ჩატარებულმა მოსწავლეთა შეჯიბრებებმა გვიჩვენეს, რომ ბევრ საშუალო სკოლაში მოსწავლეთა შორის ცურვის სწავლას, რბილად რომ ვთქვათ, ფორმალურად ეკიდებიან. რა თქმა უნდა, მათ შეუძლიათ თავი იმით იმართლონ, რომ საცურაო აუზები და საჭყუმპალაოები ერთობ ცოტაა.

მაგრამ როსტოვში ხომ გამონახეს გამოსავალი, როცა სკოლის ხელმძღვანელებმა მათთან ახლო მდებარე საცურაო აუზებში დააწყებინეს ბავშვებს ცურვა. როგორც ჩანს, ჩვენი სკოლების ხელმძღვანელებს თავის ზედმეტად შეწუხება არ უნდათ. გაცილებით იოლია, მაგალითად, სპორტულ თამაშობათა სახეობებით შემოფარგვლა. ამით საერთო საქმე ზარალდება.

თბილისში 160-ზე მეტი საშუალო სკოლაა. „მხიარული დელფინის“ სტარტზე 116 სკოლა გამოვიდა. მათ 3735 მონაწილეზე წარმოადგინეს განაცხადი. სტარტზე კი 1016 მოსწავლე გამოვიდა. მოუმზადებლობის გამო გაცურებიდან 60 ბავშვი მოიხსნა. რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ლენინის რაიონის 39 საშუალო სკოლის, IV-VII კლასების 16733 მოსწავლიდან განაცხადში 107 ბავშვი შეიტანეს. მათგან შეჯიბრებაში მხოლოდ 216 მონაწილეობდა. დისტანციიდან 11 მოზარდი მოხსნეს. არადა, ეს 11 ბავშვი, სადაც წესი და რიგია, ხომ უნდა იყოს მშდ კომპლექსის ნიშნოსანი? იგივე შეიძლება ითქვას სხვა რაიონებზე.

# რატომ მოუწყენია «მხიარულ დელფინს»

სხვა რაიონების ფონზე შედარებით უკეთ გამოვიდნენ კიროვის რაიონის წარმომადგენლები, რომლებმაც გამარჯვებაც მოიპოვეს.

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების დღეებში ბავშვებისთვის საცურაო აუზების დათმობა მისასალმებელია. მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ნახევარია. ასეთი ნაბიჯი გაცილებით იოლია, ვიდრე გასავლელი გზის დანარჩენი ნაწილი. თუ როგორ გავივლით ამ გზას, ეს ბევრადაა დამოკიდებული უბრალო საცურაო აუზების მშენებლობაზე და საქმის სიყვარულზე. ეს მოგვცემს ბავშვებისათვის ცურვის სწავლების გარანტიას, ნამდვილი და არა ყალბი მშდ-ს ნიშნოსანთა მომზადების გარანტიას. საქმის წარმატებით გადაწყვეტისთვის საჭიროა დიდი ჯაჭვის ყოველი რგოლის — პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციების ხელიხელჩაკიდებული მუშაობა.

**ა. ბაქრაძე.**

● მძლეოსნობა

# ორი მიღწევა

**ბერლინსა** და **ტურკუში** გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებებში ორი მსოფლიო მიღწევა დამყარდა. ბერლინის მანეჟში ვ. შმიდტმა (გდრ) ბადრო 66,20 მეტრზე ტყორცნა. ეს 3,68 მეტრით სჯობს ამერიკელი მ. უილკინსის ზამთრის მსოფლიო მიღწევას.

ტურკუს მანეჟში თავი გამოიჩინა ცნობილმა ფინელმა სპორტსმენმა რ. სალონენმა. მან 10 კილომეტრი 39.59,0-ში დაფარა, რაც აღემატება შარშან ე. ევსიუკოვის (საბჭოთა კავშირი) მიერ დამყარებულ მიღწევას.

# „ბიმლეტი“ გამოცდას იბარებდა

**ოსლოში** დასრულდა ნორვეგიის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოციგურავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც „ბიმლეტის“ სტადიონზე გაიმართა.

500 მეტრზე მრავალჭიდელ ვაჟთა შეჯიბრებაში ბადალი არ ჰყავდა ამერიკელ მსოფლიო ჩემპიონს ჰაიდენს — 39,07. საბჭოთა ოსტატის პეგოვის შედეგი (40,04 წამი) 0,02-ით სჯობს III პრიზიორის — პლანეტის (აშშ) მაჩვენებელს.

ჰაიდენმა 3000 მეტრზე რბენაში საციგურაოს რეკორდი დაამყარა — 4.14,10. მეორე დღეს მანვე იმარჯვა 1500 მეტრზე — 1.59,85 და 5000 მეტრზე შეჯიბრებაში — 7.21,4. რა თქმა უნდა, იგი უძლიერესი იყო მრავალჭიდშიც — 165,510 ქულა. აქ მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სტურჰოლტი — 168,850 და სტენსჰემი (ორივე — ნორვეგია) — 169,252.

სპრინტერთა შორის აშკარა იყო ნორვეგიელი რიონინგის უპირატესობა. 500 მეტრზე მან ამ შეჯიბრებაზე აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი (38,9) აჩვენა. მეორე დღეს მან ეს მაჩვენებელი 0,06 წამით გააუარესა, მაგრამ ამჯერადაც I ადგილი დაიკავა. შეჯიბრების ლიდერმა 1000 მეტრი თავდაპირველად 1.19,32-ში დაფარა, განმეორებით შეჯიბრებისას კი 1.19,49 აჩვენა და მხოლოდ თანაგუნდელ ანდერსენთან დამარცხდა. რიონინგს მრავალჭიდში ბადალი არ ჰყავდა—157,265 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან ენგელსტადი (ნორვეგია) — 158,735 და ანდერსენი—158,940.

საერთო გუნდურ ჩათვლში პირველობა მასპინძლებმა მოიგეს. საბჭოთა სპორტსმენები II ადგილზე არიან, ამერიკელები — მესამეზე.

● ციგურაობა

# ყურადღება: კრისტა როტენბურგერი

მათ შორის, ვისაც სპეციალისტები ზამთრის ოლიმპიადაზე მოციგურავეთა შეჯიბრებებში ჯილდოების პრეტენდენტებად ასახელებენ, ხშირად ისმის 19 წლის გდრ-ის სპორტსმენის კრისტა როტენბურგერის სახელი. ნოემბერში მან დასავლეთ გერმანიაში 500 მეტრი 41,91-ში დაფარა, შემდეგ, შუა დეკემბერს კარლ-მარქს-შტადტში მსოფლიო მიღწევა ბარის საციგურაოებისთვის 41,55-მდე აიყვანა.

...გამარჯვება არ ცვლის მისი სახის გამომეტყველებას. იგი მუდამ სერიოზული და მშვიდია. როტენბურგერი, როგორც ჩანს, ყველა ემოციას „ხვალისთვის“ ინახავს. თუმცა 19 წლის კრისტას დღესაც აქვს სიხარულის საფუძველი. დრეზდენელმა სპრინტერმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი მსოფლიოს უძლიერეს მოციგურავეთა ჯგუფში.

როტენბურგერმა საციგურაო სპორტში ვარჯიში 1974 წელს კლუბ „აინხაიტ დრეზდენში“ დაიწყო. 1976 წლიდან მას წვრთნის ცნობილი სპეციალისტი ე. ლუდინგი.

ლეიკ-პლესიდში, როგორც ჩანს, კრისტა იასპარეზებს 500 და 1000 მეტრზე. აქ მას მედლის მოპოვების მეტი შანსი აქვს. საოცარია როტენბურგერის შედეგების სტაბილურობა. დასავლეთ ბერლინში იგი ქალთა შორის პირველი „გამოვიდა“ 42 წამიდან ბარის საციგურაოებისთვის—ინცელის საციგურაოს ცუდ ყინულზე 42,19 აჩვენა. და აი, ფანტასტიკური მიღწევა გდრ-ის ჩემპიონატში ცალკეულ დისტანციებზე — 41,55. კარლ-მარქს-შტადტში მანვე 1000 მეტრი 1.26,5-ში დაფარა, რაც 0,36-ით ჩამორჩება ბეტ ჰაიდენის მსოფლიო მიღწევას. ეს მანძილი უფრო სწრაფად გაირბინა მხოლოდ საბჭოთა სპორტსმენმა, მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ნ. პეტრუსოვამ (1.23,26), მაგრამ მაღალმთიან ინცელში.

სპრინტერთა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი კრისტა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, მსუბუქად, ძალდაუტანებლად დარბის.

აქამდე მასაც ჰქონდა მოციგურავეთა უმრავლესობისთვის, განსაკუთრებით კი სპრინტერთათვის დამახასიათებელი ნაკლი — შედეგების არასტაბილურობა. იგი ხან ფანტასტიკურ წამებს აჩვენებდა, ხან კი ძალზე სუსტად გამოდიოდა.

როტენბურგერმა აქამდე ვერ შეძლო გდრ-ის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება (იყო მეორე, მესამე). არასდროს ყოფილა ქვეყნის საუკეთესო მოციგურავეთა სიის სათავეში, მაგრამ ყველაფერი ეს იყო წარსულში.

კრისტა დაიბადა 1959 წლის 4 დეკემბერს ვაისვასერში. 6 წლისამ დაიწყო ფიგურული სრიალის ილეთების სწავლა, მაგრამ შემდეგ მისმა მწვრთნელმა ი. დენხარდტმა ფიგურული ციგურები სარბენ ციგურებად შეაცვლევინა. ამჟამად იგი ს. ფირკოტენთან, ა. მარტინუსთან და ს. ვალტერთან ერთად ვარჯიშობს. როტენბურგერს, რომელიც ეკონომისტ-კომერსანტის პროფესიას ეუფლება, სამი ძმა და ერთი და ჰყავს.

„ჩემი მთავარი მიზანია,—თქვა როტენბურგერმა, — მონაწილეობა მივიღო ლეიკ-პლესიდის ოლიმპიურ თამაშებში. 500-მეტრიან დისტანციაზე საპრიზო ადგილების პრეტენდენტთა შორის იქნებიან ლია მიულერ-პოლასი (აშშ) და ლუბა სადჩიკოვა (სსრ კავშირი). 1000 მეტრზე, ვფიქრობ გაიმარჯვებს ბეტ ჰაიდენი ან ტატიანა ბარაბაშ-ავერინა (სსრ კავშირი)“. და, რა თქმა უნდა, ოლიმპიური ჩემპიონობის კანდიდატთა სიაში უნდა შევიყვანოთ კრისტაც, რომელმაც წლევანდელ სეზონში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ამ ორ დისტანციაზე. (საკდესი).

● ჰორიზონტზეა ლეიკ-პლესიდი

# უფროსი მწვრთნელი ასე თვლის

**ნორვეგიელმა** ბიატლონისტებმა ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება მაისიდან დაიწყეს. გუნდის უფროსი მწვრთნელი ა. ბესებერგი თვლის, რომ მისმა ბიჭებმა მომავალ თამაშებში უნდა შეძლონ ის, რაც ინსბრუკის ოლიმპიადაზე ვერ მოახერხეს: ნორვეგიელებმა ბოლო ოლიმპიური ოქროს მედალი 1972 წლის საპოროს თამაშებში მოიპოვეს, ოთხი წლის შემდეგ კი ხელცარიელი დარჩნენ. ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს საგანგებო ღონისძიების გატარება დასჭირდა მდგომარეობის გამოსწორებისთვის — სპორტსმენებმა უკვე 80-დღიანი შეკრება გაიარეს, ხოლო შეკრებიდან თავისუფალ დროს ბიატლონისტები ინდივიდუალური დავალებით ინტენსიურად ვარჯიშობენ.

გუნდში გამოცდილი ოსტატების ო. ლიდჰუსის, ს. იუჰანსენის, ჩ. სიობეკის, ს. ენგენის გვერდით არიან ახალგაზრდები, ჩრდილოეთის ქვეყნების იუნიორთა ჩემპიონი, 20 წლის ე. კვალფოსი, აგრეთვე, ტ. კროკსტადი, რ. ნილსენი და სხვები.

ლილეჰამერში (ნორვეგია) მზადების პროგრამით გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მასპინძელთა გარდა გფრ-ისა და ავსტრიის კოლექტივები გამოდიოდნენ. მოეწყო მხოლოდ ესტაფეტა 4X7,5 კილომეტრზე. გაიმარჯვა მასპინძელთა II ნაკრებმა. პირადში ეტაპზე საუკეთესო დრო აჩვენა ნორვეგიის I ნაკრების წევრმა, შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ს. იუჰანსენმა.

—ძალთა გენერალური დათვალიერება ოლიმპიადის წინ გვექნება იანვარში, მსოფლიო თასის გათამაშების დროს, — ამბობს ბესებერგი.



ალმა-ათის მახლობლად მდებარე მედეოს მაღალმთიან საციგურაოზე სპორტის მოყვარულები ამას წინათ საინტერესო ასპარეზობის მოწმენი გახდნენ — ყინულის ბილიკებზე გაიმართა მოტორბოლა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პროგრამაში შედიოდა.

ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრების მომენტი. საკდესის ფოტო.

## მსოფლიოს ფეხბურთის ამბები

### ინგლისი

**XXII ტურის** ცენტრალური მატჩი გაიმართა ლივერპულში, სადაც ლიდერმა „ლივერპულმა“ მიიღო II ადგილზე მყოფი „მანჩესტერ იუნაიტედი“. შეხვედრას მაყურებლების სარეკორდო რაოდენობა — 91 ათასი ესწრებოდა. ლიდერს აშკარა უპირატესობა ჰქონდა. მე-17 წუთზე ჰანსენმა რ. კენედის გადაცემიდან გახსნა ანგარიში. თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე, ჯონსონმა მეორე ბურთი გაიტანა. გაიმარჯვა „ლივერპულმა“ — 2:0 და უფრო განიმტკიცა პოზიცია. ინგლისის მიმდინარე ჩემპიონატში „ლივერპული“ უკანასკნელად დამარცხდა VIII ტურში, 29 სექტემბერს, სტუმრად „ნოტინგემ ფორესტთან“. ამის შემდეგ მან 10 მატჩი მოიგო და 3 ფრედ დაამთავრა.

ტურის სხვა მატჩები: „არსენალი“ — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ 1:0, „ბოლტონ უონდერერსი“ — „ევერტონი“ 1:1, „ბრაიტონი“ — „კრისტალ პალასი“ 3:0, „დერბი ქაუნთი“ — „კოვენტრი სიტი“ 1:2, „მანჩესტერ სიტი“ — „სტოკ სიტი“ 1:1, „მიდლსბრო“ — „ლიდს იუნაიტედი“ 3:1, „ნორვიჩ სიტი“ — „იფსვიჩ თაუნი“ 3:3, „ნოტინგემ ფორესტი“ — „ასტონ ვილა“ 2:1, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „ბრისტოლ სიტი“ 3:0, „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ — „საუთჰემპტონი“ 0:0.

XXIII ტურში „ლივერპულმა“ კვლავ მოიგო, ამჯერად „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან“ (2:0) და ახლა 34 ქულა აქვს. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დაამარცხა „არსენალი“ — 3:0. მან 32 ქულა მოაგროვა (ოღონდ თამაშით მეტი აქვს).

## ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები.

### საბერძნეთი

XII ტურში პირეოსის „ოლიმპიაკოსმა“ ანგარიშით 2:0 სძლია ამავე ქალაქის „ეთნიკოსს“ და 21 ქულით ლიდერობს. წარმატებით ითამაშეს სალონიკის კლუბებმა. პაოკ-მა მოუგო ათენის „პანიონიოსს“ — 3:1, ხოლო „არისმა“ 4 მშრალი ბურთი გაიტანა „ლარისას“ კარში. ახლა პაოკ-სა და „არისს“ 18-18 ქულა აქვთ და შესაბამისად II და III ადგილები უჭირავთ. ათენის „პანათინაიკოსმა“ დაამარცხა „პანაჰაიკი“ — 3:1. იგი 16 ქულით IV ადგილზეა.

## გ. მ. არჩვაძე



...29 წლის ასა-[illegible] ქართულ სპორტს გამოაკლდა ჩვენი რესპუბლიკის მშვილდოსნობის ერთ-ერთი ენთუზიასტი, კარგი ამხანაგი და მეგობარი, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი გივი მიხეილის ძე არჩვაძე.

იგი თბილისში დაიბადა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომელიც 1976 წელს დაასრულა. მშვილდოსნობა IX-კლასელმა დაიწყო და შვიდი წლის წინ სპორტის ოსტატის წოდებაც მოიპოვა.

გ. არჩვაძე რამდენჯერმე იყო რესპუბლიკის ჩემპიონი ამ სახეობაში ახალგაზრდებსა და ვაჟთა შორის. მან 18-ჯერ გააუმჯობესა საქართველოს რეკორდები. ბევრჯერ მოიპოვა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობის პრიზი. მონაწილეობდა სსრ კავშირის ხალხთა V და VI სპარტაკიადებში. „ბურევესტნიკის“ შემადგენლობაში წარმატებით იცავდა საბჭოთა სპორტის ღირსებას უნგრეთში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, მონაწილეობდა საქართველო — პოლონეთის გუნდების მატჩში.

ბოლო წლებში გ. არჩვაძე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში მუშაობდა და აქაც გამოირჩეოდა გულმოდგინებით.

გ. არჩვაძის ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

**საქართველოს სსრ მშვილდოსნობის ფედერაცია.**

● ჩოგბურთი

## „კინგზ კაპა“

„კინგზ კაპას“ — მეფის თასის გუნდურ გათამაშებაში საფრანგეთის გუნდთან გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ჩოგბურთელებმა ბუდაპეშტში უნგრელებთან წააგეს — 1:2. ამ შეხვედრაში ვ. ბორისოვმა მოუგო ი. ბენეკს — 6:0, 6:4. გუნდების ლიდერების — ბ. ტაროცისა და თ. კაკულიას დუელი უნგრელის გამარჯვებით დასრულდა — 6:2, 6:1. მერე ტაროციმ და პ. სეკემ სძლიეს ბორისოვ—კაკულიას წყვილს — 7:6, 6:7, 6:4.

ქვეჯგუფში ჩვენების მეტოქეების — ავსტრიისა და საფრანგეთის კოლექტივების მატჩი ვენაში ავსტრიელებმა მოიგეს — 2:1. საბჭოთა ოსტატები 13 იანვარს ავსტრიელებს უმასპინძლებენ.

მეორე ქვეჯგუფში მოხდა მოულოდნელობა — ჩეხოსლოვაკიელები შვედებთან დამარცხდნენ — 1:2.


რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.


## სპორტულ ბაზებზე

**მძლეოსნობა.** „განთიადის“ მძლეოსნობის სასახლე. **საქართველოს სპორტსკოლების ზამთრის პირველობა.** დასაწყისი: 13 იანვარს — 16. ს. 14 იანვარს — 11 ს.

**მინი-ფეხბურთი.** სპორტის სასახლე. **მამათა და შვილთა გუნდების საქალაქო ტურნირის ფინალური შეხვედრა.** დასაწყისი 16 ს.


გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ქადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 07616